პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 81 (6146) 25 1978 წ. აპრილი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского. Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დღეს მოსკოვში მუშაობას იწყებს საკავშირო ალკკ XVIII ყრილობა

# გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწესა და მებრძოლ რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.**

**საბჭოთა** ახალგაზრდობის მოწინავე რაზმის — ლენინური კომკავშირის დიდი ფორუმი — სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობა მოჰყვება ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში მომხდარ დიდმნიშვნელოვან მოვლენას — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებას — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ახალ ეტაპს, სოციალური პროგრესისა და განვითარებული სოციალიზმის ქვეყნის მშრომელთა ბრძოლის მძლავრ იმპულსს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა ხალხმა შეაჯამეს დიდი და სახელოვანი გზა — ექვსი ათეული წლის მანძილზე ბრძოლისა და გამარჯვების შედეგები.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისა და განვითარების ყველა პერიოდში — სამოქალაქო ომის ფრონტებზე, პირველი ხუთწლედების მშენებლობებზე, საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მძვინვარე დღეებში, ყამირის ათვისებასა და სხვა დიდმნიშვნელოვან საქმეში საბჭოთა ახალგაზრდობა ავლენდა სულიერ სიმტკიცეს, მაღალიდეურ წრთობას. კომუნისტები, მათი ცხოვრება და ბრძოლა, რევოლუციური იდეალებისადმი ერთგულება და სამსახური იყო და კვლავაც არის თითოეული საბჭოთა ახალგაზრდის, კომკავშირელის ყველაზე ზუსტი ცხოვრებისეული ორიენტირი.

სადაც ახალგაზრდობაა, იქ გამარჯვებაცაა. სწორედ ამ დევიზით იბრძვიან ჩვენი ჭაბუკები და გოგონები X ხუთწლედით დასახული გეგმების პირნათლად შესრულებისთვის, იციან, რომ რაც უფრო ნაყოფიერი იქნება მათი შრომა, მით უფრო გაძლიერდება ჩვენი სამშობლო, უფრო ბედნიერად იცხოვრებს საბჭოთა ხალხი.

კომკავშირი მუდამ იყო საბჭოთა ახალგაზრდობის ფიზიკურად გაკაჟების, ფიზკულტურისა და სპორტის მძლავრი განვითარებისთვის მგზნებარე მებრძოლი. სწორედ კომკავშირის ინიციატივით იქნა შემოღებული ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის", რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა ახალგაზრდობის ფიზიკური სრულყოფის საქმეში. მშდ კომპლექსმა დიდი სპორტისკენ გზა დაულოცა ათი ათასობით ახალგაზრდას, იგი ფიზკულტურული მუშაობის დიდი სტიმულატორი გახდა. ლენინური კომკავშირი მრავალი სხვა ძვირფასი წამოწყების ინიციატორიცაა და ამიტომაა კომუნისტური პარტია მისგან ყოველთვის მოითხოვს, რომ იგი იყოს ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის მძლავრი განვითარებისთვის მებრძოლთა ავანგარდში.

შარშან გამართულ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურასა და სპორტში არსებულ მდგომარეობას განიხილავდა, ითქვა: „...**სწორედ ჩვენი კომკავშირი უნდა გახდეს ფიზკულტურისა და სპორტის სული და გული, ახალგაზრდებს შორის ამ შესანიშნავი მოძრაობის პროპაგანდისტი და ორგანიზატორი. სწორედ კომკავშირი, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემასთან ერთად, სისტემატურად და მიზანდასახულად უნდა წყვეტდეს სასკოლო, სტუდენტური სპორტის, მოსწავლეების, მუშა და სოფლის ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებს".**

ლენინურ კომკავშირს დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები აკისრია, რომელთა ცხოვრებაში განხორციელება იმის საწინდარი იქნება, რომ გვეყოლება უფრო მეტი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი, მძლავრად შევუტევთ სპორტულ მწვერვალებს, პირნათლად განვახორციელებთ ახალგაზრდობის ფიზიკური სრულყოფის საშვილიშვილო საქმეს.

ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის 700-ათასიანი რაზმის 101 ჭაბუკი და გოგონა — ახალგაზრდა მუშათა კლასის, საკოლმეურნეო მინდვრების, უმაღლესი სასწავლებლების, სკოლების, სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებს ლენინური კომკავშირის XVIII ყრილობის მუშაობაში. ქვეყნის ქალიშვილთა და ჭაბუკთა ფორუმის დელეგატად არჩეულია ჩვენი სპორტის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი, დიდოსტატი მაია ჩიბურდანიძე.

ლენინური კომკავშირის XVIII ყრილობა შეაჯამებს წინა ფორუმიდან გასული 4 წლის მუშაობის შედეგებს, დასახავს ახალ-ახალ ამოცანებს ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

რესპუბლიკის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა დიდი არმიის სახელით ვუსურვოთ ლენინური კომკავშირის XVIII ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ და სადიდებლად.




# XVIII

გ. იაშვილის ნახატი.



## ვახტანგ ბლაგიძე კონტინენტის ჩემპიონია

**ნორვეგიის** დედაქალაქ ოსლოში 22 ქვეყნის 171 სპორტსმენი იბრძოდა კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის კლასიკურ ჭიდაობაში. გუნდურ ჩათვლაში დიდი წარმატება ხვდათ რუმინელ მოჭიდავეებს, რომლებმაც ოქროს ოთხი, აგრეთვე, ორ-ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. საბჭოთა გუნდი მოკრძალებულ შედეგს დასჯერდა: სამი ჩემპიონი და ორი ვერცხლის მედლის მფლობელი. მესამე ადგილზე გავიდნენ უნგრელები, რომელთა ანგარიშზეა თითო ოქროსა და ვერცხლის, აგრეთვე, ოთხი ბრინჯაოს მედალი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ევროპის ჩემპიონები გახდნენ: კ. ალექსანდრუ (რუმინეთი), ვ. ბლაგიძე, ვ. პოგუდინი (ორივე — სსრ კავშირი), კ. ლიპენი (პოლონეთი), შ. რუსუ (რუმინეთი), ფ. კოჩიში (უნგრეთი), ი. დრაიკა (რუმინეთი), ფ. ანდერსონი (შვეცია), ნ. ბალბოშინი (სსრ კავშირი) და რ. კოდრიანუ (რუმინეთი).

**ქების ღირსია ასეთი შეჯიბრების დებიუტანტი, 21 წლის თბილისელი ვახტანგ ბლაგიძე. მან მაღალტექნიკურად და ტაქტიკურად წარმართა ბრძოლები თავის ტიტულოვან მეტოქეებთან და დამსახურებულად გაიმარჯვა. ბლაგიძის შესახებ ახლა შეიძლება ვილაპარაკოთ, როგორც მომწიფებულ ოსტატზე და მსოფლიო ასპარეზზე მისგან კვლავაც დიდ გამარჯვებებს მოველით.**

**სურათზე: ვახტანგ ბლაგიძე.**

„პრავდის" კროსი

## 0,3 წამით

**ალმა-ათაში** გაიმართა საკავშირო მძლეოსნური კროსის ფინალი გაზეთ „პრავდის" პრიზებზე. ორ დისტანციაზე — ვაჟებისთვის 12 და ქალებისთვის 2 კილომეტრზე რბენაში სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებიც გათამაშდა. 12 კილომეტრზე ასპარეზობაში ჩემპიონი გახდა 25 წლის ჩელიაბინსკელი სტუდენტი, კომკავშირის მე-18 ყრილობის დელეგატი ლ. მოსეევი, რომელმაც წვიმიანი ამინდის მიუხედავად მაღალი შედეგი (35.26,4) აჩვენა.

ქალთა შორის 2 კილომეტრზე რბენის ფინიშთან პირველი მივიდა ვლადივოსტოკელი ზ. რიგელი — 6.31,0, მაგრამ იმის გამო, რომ ამავე დისტანციაზე ქალიშვილების შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ვოლგოგრადელმა ო. კრენცერმა 0,3 წამით უკეთესი შედეგი აჩვენა, ჩემპიონის ოქროს მედალიც მას გადაეცა. რიგელი ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ეს შეჯიბრება „პრავდის" კროსების ისტორიაში სარეკორდო იყო. თუ, მაგალითად, 1971 წელს მოსკოვში 159 კოლექტივის 1096 მონაწილე შეგროვდა, სამი წლის შემდეგ ფრუნზეში 211 კოლექტივის 1238 მორბენალმა მოიყარა თავი, ხოლო კიდევ სამი წლის მერე ტაშკენტში 1759 უძლიერესი მძლეოსანი ჩამოვიდა, ალმა-ათაში კი 3 ათასი მორბენალი ასპარეზობდა.

სხვა დისტანციებზე იმარჯვეს: 2 კილომეტრზე გოგონების შეჯიბრებაში — რ. იზმაილოვამ (მოსკოვი) — 6.55,0, ქალთა შორის 3 კილომეტრზე ასპარეზობაში — ვ. ოსიპოვამ (ვორონეჟი) —10.46,0, ერთ კილომეტრზე გოგონათა შორის — ლ. მალიხინამ (ვოლგოგრადი) — 3.09,2, 1500 მეტრზე — ა. შივოლინამ (ფრუნზე) — 5.00,7. ქალიშვილებს შორის 3000 მეტრზე ყველას აჯობა ვ. ბეზლეპკინამ (დონეცკი) — 9.44,2.

ბიჭებში 2000 მეტრზე იმარჯვა ს. კორნილოვმა (უსტ-კამენოგორსკი) — 6.09,0. 3000 მეტრზე მთავარი პრიზი მოიგო ა. კუზნეცოვმა (ფერგანა) — 9.28,4, ხოლო 5000 მეტრზე — ა. პასარიუკმა (ჩერნოვცი) — 15.46,8.

ოდესელი ს. ოლიზარენკო 8 კილომეტრზე რბენაში შარშან ფინიშთან მეორე მივიდა. ამჯერად იგი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა — 24.14,0.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო რსფსრ-ის ნაკრები.



სურათზე: საკავშირო კომკავშირის XVIII ყრილობის დელეგატი, თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე, სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო დიდოსტატი მ. ჩიბურდანიძე (შუაში) თანაკლასელებს შორის.

ა. საკოევის ფოტო.

# დიდი გამოხმაურება

**დღეს მოსკოვში მუშაობას იწყებს საკავშირო ალკკ XVIII ყრილობა, რომლის დელეგატად არჩეულია დიდოსტატი მაია ჩიბურდანიძე. გთავაზობთ უცხოური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ რამდენიმე ცნობას, რომელიც ეხება მაიას მიერ ამ ბოლო ხანებში მიღწეულ დიდ წარმატებებს.**

სსრ კავშირის ქალთა 37-ე საჭადრაკო ჩემპიონატის შედეგებს ფართო კომენტარი გაუკეთა ბოლონურმა ჟურნალმა „პშეგიაზნიმ“. „საბჭოთა ჭადრაკის ისტორიაში სსრ კავშირის ჩემპიონი ჯერ არ გამხდარა 16 წლის ასაკში; ეს ქართველმა შეძლო მაია ჩიბურდანიძემ“. ჟურნალი უამბობს მკითხველებს, რომ მაიამ ამ ჩემპიონატში მონაწილეობა რომის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში თამაშს ამჯობინა. მას მოჰყავს წორის დიდოსტატის სიტყვები: „მიყვარს წოგება. წინათ ეგი ჩემი ერთადერთი მიზანი იყო. ახლა თვით მოგება ისე აღარ მახარებს. მსიამოვნებს, როცა თამაში „ლამაზია“, და მასში რაიმე სიახლეს ვპოულობ. ამაში მეხმარება შეშმარიტად უშელავათო მეტოქე. ამიტომ დიდ კმაყოფილებას მგვრიდა ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობა“.

მორიგ ნომერში „პშიიაზნი“ აღნიშნავს, რომ მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილის მეტოქეთა შორის არის მისი თანამემამულე მ. ჩიბურდანიძეც და იქვე მოჰყავს ნ. ალექსანდრიასთან მაიას მოგებული პარტია.

ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: „ამას წინათ ჩვენ ვაქებდით ახალგაზრდა ქართველი დიდოსტატის ჩიბურდანიძის შემოქმედებით აზროვნებას, უფრო სწორად — მის ფანტაზიას. ახლა გთავაზობთ პარტიას, რაც ადასტურებს, რომ ჩიბურდანიძე ჭეშმარიტად დიდი მოჭადრაკეა. ეს პარტია ჩიბურდანიძემ ითამაშა დიდოსტატ ალექსანდრიასთან პრეტენდენტთა მატჩში, რომელიც თბილისში ჩატარდა“.

დიდი გამოხმაურება ჰქონდა ჩიბურდანიძის გამარჯვებას პრეტენდენტთა [illegible] მატჩში.

გაზეთმა „დოიჩეს შპორტეხოს“ (გდრ) მოაგონა მკითხველებს თბილისელი მოსწავლის თვალსაჩინო გამარჯვებები პრეტენდენტობისკენ მიმავალ გზაზე საზონათშორისო ტურნირში, ალექსანდრიასა და ახმილოვსკაიასთან მატჩებში.

ინფორმაციაში სათაურით „მუდმივი მისამართი — სსრ კავშირი“ გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ (ბულგარეთი) წერს, რომ ჭადრაკის დედოფლის გვირგვინი საბჭოთა ქვეყანაში დარჩება, როგორც არ უნდა დამთავრდეს ნ. გაფრინდაშვილის შეხვედრა მის თანამემამულესთან.

„პშიიაზნის“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში მოყვანილია ცნობილ სპეციალისტთა აზრები გაფრინდაშვილი — ჩიბურდანიძის მატჩის შესახებ. ნათქვამია, რომ საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი. ჟურნალი ბეჭდავს ა. კუშნირთან მაიას მატჩის IV პარტიას და კომენტარში შენიშნავს, რომ „ჩიბურდანიძეს უნარი აქვს დროებითი უპირატესობაც ზუსტად გამოიყენოს“.

ა. გერშტენგლიტი.

# მონდომება საქმის ნახევარია

## საქართველოს პირველობა

**ცხენოსნობა**

**ამ ორი** ათეული წლის წინათ, 1958 წლის გაზაფხულზე, ფოთის იპოდრომი, რომელიც იმ ხანებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელ რესპუბლიკაში, ზღვამ საბოლოოდ წალეკა. საბოლოოდ, ვამბობთ იმიტომ, რომ ნაპირიდან გადმოსული ტალღები მანამდეც დღითი დღე ავიწროებდა ცხენოსანთა სარბიელს. იმ დღიდან გაქრა ცხენოსნობის მდიდარი ტრადიციები ამ უძველეს ქალაქში.

დიდი ხნის შემდეგ, მაგრამ მაინც აღდგა ფოთში ცხენოსნობა. ისევ აშენდა თავლა და იპოდრომი, პატარა ბიჭები ისევ დაადგაფუნებენ ზღვის წყალში ცხენებს. ისევე როგორც 50-იან წლებში, ფოთში თავი მოიყარეს რესპუბლიკის საუკეთესო მხედრებმა. ამჯერად ქალაქმა დაბრკოლებათა გადალახვაში რესპუბლიკის პირადი პირველობის მონაწილეებს უმასპინძლა.

მონდომება საქმის ნახევარიაო, ამბობენ, თუ ასეა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ვალიკო მაქაცარიას, მამა-შვილის კოსტა და ცეზარ შურღაიებისა და ფოთის ფიზკულტურის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის ბორის გოგიჩაიშვილის დიდი დამსახურება და მონდომება. საცხენოსნო კლუბის აღდგენისთვის ენთუზიასტებს იმთავითვე მხარში ამოუდგა ქალაქის ხელმძღვანელობაც, მაგრამ ხდება ხოლმე — ერთის ნაფიქრ-ნააზრევი მეორეს უმნიშვნელოდ მიაჩნია, ანდა საერთოდ არ მოსწონს და მის სიტყვას, თუ იგი ხელმძღვანელის უფლებებითაა გარემოსილი, კანონის ძალა აქვს. საბედნიეროდ, ფოთში ენთუზიასტები არავის გაუწბილებია, საწინააღმდეგო აზრი არავის დასცდენია. დღეს სპორტის ამ სახეობის ერთგული ქომაგები არიან სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გერონტი ქუხალეიშვილი და ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ ხომერიკი. ცხენოსნობისადმი ასეთი ზრუნვა-ყურადღება, რასაკვირველია, ცალმხრივი არ უნდა იყოს. ამას საცხენოსნო კლუბის მისამართით ვამბობთ. ფოთელი მხედრები ჯერჯერობით ვალში არიან. რესპუბლიკურ პირველობებში ულიმღამოდ გამოსვლა, ვფიქრობთ, პირველ ყოვლისა, კვალიფიცირებულ მწვრთნელთა კადრების ნაკლებობითაა გამოწვეული.

რაკი სიტყვა მწვრთნელებზე ჩამოვარდა, ფოთში ჩატარებულ პირველობაზე საუბარიც სწორედ ამით გვინდა დავიწყოთ. დღეს არავის აეჭვებს, რომ სპორტის ნებისმიერ სახეობაში თუ გვსურს მუშაობა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად წარვმართოთ, სპორტსმენთა მომზადება მეცნიერებასთან უნდა იყოს დაახლოებული. მაგრამ ვერც მეცნიერებაში კარგად ჩახედული კაცი გავაფონს იოლად, თუ სპორტის იმ სახეობაში, რომელსაც ის ემსახურება, პირადი პრაქტიკული გამოცდილება არა აქვს. მწვრთნელი პრაქტიკულ გამოცდილებას თუკი თეორიული ცოდნით აღრმავებს, ის უდავოდ კვალს დაამჩნევს და წინ წასწევს სპორტს. ჩვენში ცხენოსნობა რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მოკლებული იყო ამგვარ . სიკეთეს. სპეციალურ განათლებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, პრაქტიკოსი მწვრთნელებიც იშვიათად მოდიოდნენ ცხენოსნობაში. აგერ სპორტსმენთა ორი თაობა (ეს კი, სულ მცირე, ოცი წელიწადია) ისე წავიდა, მწვრთნელთა შორის ახალი სახელი თითქმის არ გამოჩენილა. თავის დროზე შესანიშნავმა სპორტსმენებმა ალექსანდრე დგებუაძემ, აკაკი მანჯავიძემ, შოთა აფციაურმა, ვალიკო ოძელაშვილმა, ძმებმა ოთარ და ნოდარ ხაინდრავებმა სპორტული სარბიელის მიტოვების შემდეგ სხვა გზა აირჩიეს და მწვრთნელთა შემადგენლობა ფაქტიურად უცვლელი დარჩა. ამ ბოლო ხანებში ფიზკულტურის ინსტიტუტმაც გამოიჩინა ინტერესი ცხენოსნობისადმი და რამდენიმე სპორტსმენმა უკვე დაამთავრა ან ამჟამად სწავლობს ამ სასწავლებელში. ასე რომ მწვრთნელთა ახალგაზრდა თაობა უკვე მოდის ცხენოსნობაში. მათ შორის პირველ ყოვლისა თბილისელები კირიაკ გაშიბაიაზოვი, ავთანდილ კიკიანი, ვილენ პალეატიდი, მ. ტატიშვილი, რ. მესტვირიშვილი, ნოდარ ხუციშვილი, ძმები ნუგზარ და მარლონ ლაბაშიები (ორივე —გალი), იური ბარათელია (ოჩამჩირე), კუკური მელია (ფოთი) და ა. მიქაელიანი (სოხუმი) უნდა დავასახელოთ. განსაკუთრებით სასიხარულო ისაა, რომ მწვრთნელთა ახალ თაობას სპორტსმენთა ახალი გვარებიც მოჰყვა. მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა და სპეციალისტების აზრით, ყველაზე პერსპექტიული მხედარია თბილისის 51-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე კახა გეგეჭკორი, რომელმაც ფოთში „ამორჩევით“ დაბრკოლებათა გადალახვაში II საპრიზო ადგილი დაიკავა და დანარჩენ სახეობებშიც წარმატებით ტასპარეზა. ყველაზე რთულ სახეობაში — „საქართველოს თასზე“ დაბრკოლებათა გადალახვაში კახა იმ რამდენიმე სპორტსმენს შორის იყო, რომლებმაც ბოლომდე განვლეს ორგიტიანი მარათონი.

აქვე ორიოდე სიტყვით გვინდა შევეხოთ ფოთის იპოდრომს. ტერიტორიულად იგი მართლაც ჩინებულ ადგილზეა გაშენებული, რაც მთავარია, სპეციალისტების ერთობლივი მოწონება დაიმსახურა რბილმა გრუნტმა, რასაც ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ცხენისთვის. ძველი იპოდრომიც ასეთი იყო.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი ცხენების ტრავმისაგან დაცვაა. ამიტომ, როგორც მწვრთნელებს მიაჩნიათ, ნაკრებმა კოლექტივმა სწორედ ფოთის იპოდრომზე უნდა განაგრძოს მომზადება, ხოლო იპოდრომის საბოლოო კეთილმოწყობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გადაჭრა, რაც საჭიროა ნაკრები გუნდის ინტერესებისთვის, ვფიქრობთ, უფრო დაჩქარდება.

ახლა ისევ ასპარეზობას დავუბრუნდეთ. დაბრკოლებათა გადალახვაში რესპუბლიკის პირადი პირველობა ფაქტიურად აბსოლუტური პირველობაცაა, საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ის მხედარი ადის, რომელიც პროგრამის ცალკეულ დისციპლინებში საუკეთესო შედეგს აჩვენებს. მასობრიობის თვალსაზრისით, ეს შეჯიბრება ზუსტად შარშანდელის გამეორება იყო. სარბიელზე კვლავ ვერ ვიხილეთ ცხაკაიელი მხედრები. ადრეც გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ ცხენოსნური სპორტის მდიდარი ტრადიციების ეს კერა აგერ თვალსა და ხელს შუა გვეცლება ხელიდან. ამაზე დროულად უნდა დავფიქრდეთ და მივიღოთ გადაწყვეტილება. ხვალ შეიძლება გვიან იყოს. შველა თუა, დღესვე უნდა ვუშველოთ, უნდა ვუშველოთ, სანამ საქმე კატასტროფულ მდგომარეობამდე არ მისულა, სანამ ენთუზიასტებსაც გული არ გასტეხიათ. სამწუხაროდ, დღემდე არც ზუგდიდში გამოსწორებულა საქმე.

ცხენოსნობაში ბევრი რამ თვით მერანზეა დამოკიდებული. კარგი ცხენი (აქ ჩვენ კარგ მომზადებას ვგულისხმობთ) არასდროს გააწბილებს კარგ მხედარს. თუ სპორტსმენს ოსტატობა აკლია, ზედმეტია რაიმე წარმატებაზე ფიქრი. სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადისთვის მზადებას რესპუბლიკის ნაკრები ჯერ კიდევ გასული წლიდან შეუდგა თბილისში. საერთოდ, როგორც წესი, შეკრებაზე მხოლოდ საუკეთესო მხედრები და ცხენები იყრიან თავს. მაგრამ რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან თბილისში ჩამოყვანილი ბევრი ცხენი, მოვლაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ცუდად იყო მომზადებული. ამდენად, ცენტრალურ საცხენოსნო სპორტულ ბაზაში (უფროსი გ. კალმახელიძე), სადაც ნაკრების კანდიდატების შეკრება მოეწყო, მწვრთნელები და ბაზის მომსახურე პერსონალი უფრო რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ფოთში გამართულ ასპარეზობაში თვალნათლივ გამოჩნდა მათი შრომის შედეგი. ოჩამჩირის გუნდის წარმომადგენელს მგირ სამველიანს, მაგალითად, ტოლი არ ჰყავდა აბსოლუტურ პირველობაში და მისი „გერეკი“ დღეს ერთ-ერთი ყველაზე საიმედო ცხენია მომავალ სპარტაკიადაში წარმატებით გამოსასვლელად. სამველიანმა მოიგო „გახსნის პრიზი“, „ძალისმიერ“ ხტომებში მეორე იყო, შემდეგ კი „საქართველოს თასის“ გათამაშებაში გაიმარჯვა.

გაგაცნობთ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს: **„გახსნის პრიზი“.** 1. მ. სამველიანი (ოჩამჩირე), 2. ა. ბერძენიშვილი (ჩოხატაური), 3. ა. ღურწკაია (გულრიფში). **„ამორჩევით დაბრკოლებათა გადალახვა“.** 1. ხ. სიმონია, 2. კ. გეგეჭკორი, 3. მ. ტატიშვილი (ყველა — თბილისი). **„ძალისმიერი“** 1. ა. ხალაიჯიანი (გუდაუთა), 2. სამველიანი, 3. ზ. დუნდუა (თბილისი). **„საქართველოს თასი“.** 1. სამველიანი — 19 ქულა. 2. სიმონია — 15,3, 3. დუნდუა — 10,8.

საჩვენებელ 8-კმ-იან მარულაში გაიმარჯვა ფოთელმა თ. თოფურიამ, მეორე იყო ს. პონომარიოვი (თბილისი), მესამე — ლ. ცინცაძე (ჩოხატაური).

თ. გაჩეჩილაძე.

**ძიდაობა**

# მხოლოდ ორი უძლიერესის გარეშე

**თელავის** პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა „დინამოს“, „სპარტაკის“, „განთიადის“, „ლოკომოტივის“, „შრომითი რეზერვებისა“ და „კოლმეურნის“ 158 უძლიერესი მოჭიდავე. ფაქტიურად ამ ჩემპიონატს მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონი ლ. თედიაშვილი (იგი ამჟამად ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება) და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნ. მოდებაძე აკლდნენ. თელაველმა ჭიდაობის მოყვარულებმა ხალიჩაზე იხილეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები გ. მაკასარაშვილი, ვ. მარშანია, ტ. რონტომაშვილი, ზ. ნიკურაძე და სხვები.

დაძაბული ბრძოლების შემდეგ, საქართველოს 1978 წლის ჩემპიონის ტიტულები წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს: ზ. შუკაკიძემ („ბურევესტნიკი“, თბილისი), ტ. აფსავამ („კოლმეურნე“, თბილისი), მ. ჩხაიძემ („სპარტაკი“, მცხეთა), გ. ქენქაძემ („ბურევესტნიკი“, თბილისი), დ. გუგაურმა („სპარტაკი“, თბილისი), გ. მაკასარაშვილმა („ბურევესტნიკი“, თბილისი), ნ. ბუთხუზმა („განთიადი“, მცხეთა), ა. მაისურაძემ („დინამო“, სოხუმი), ვ. მარშანიამ („განთიადი“, სოხუმი) და ზ. ნიკურაძემ („დინამო“, თბილისი).

საერთო გუნდურ ჩათვლაში რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტული „ბურევესტნიკის“ ნაკრებმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ნ. სხიერელი) მოიპოვა. მეორე იყო „განთიადი“ (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ო. შოშიტაშვილი), ხოლო მესამე — „სპარტაკი“ (მწვრთნელი — გ. ჩუქიშვილი).

საქართველოს ჩემპიონატი ჩინებულად იყო ორგანიზებული, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის პირველობის მთავარ მსაჯს, მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ მ. ცალქალამანიძეს.

ზ. ქორიძე.

## ასპარეზობენ მოსწავლეები

● **სამტრედია.** გაიმართა რაიონის მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკში. I ადგილი და გარდამავალი თასი ნაფალაურის სკოლის ნაკრებმა მოიპოვა.

ა. სირაძე.

● **ონი.** გაიმართა რაიონის მოსწავლეთა გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში.

საშუალო სკოლების კოლექტივებს შორის I ადგილი დაიკავეს ონის მე-2 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა, რვაწლიან სკოლებს შორის — საკაოელმა ჩოგბურთელებმა.

თ. კერვალიშვილი

# „როდისღა?“

ამ სათაურით „ლელოს“ 15 მარტის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო ცხაკაიას სტადიონის გაჭიანურებულ მშენებლობაზე. როგორც საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის მეორე მდივანი **მ. აბშილავა გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები ხანიმდვილეა.**

„ცხაკაიას ცენტრალური სტადიონის მშენებლობა, რომელიც შარშან მეორე კვარტალში უნდა დამთავრებულიყო, საჭირო მასალებისა და კონსტრუქციების უქონლობის გამო გაჭიანურდა — გვწერენ პასუხში.

საქართველოს სსრ მინისტრთა

**წერილის კვალდაკვალ**

საბჭომ სტადიონის დამთავრება სატიტულო სიაში მიმდინარე წლის მეორე კვარტალში შეიტანა და საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და მთავარი მომარაგების სამმართველოს მისი სათანადო ფონდებითა და კონსტრუქციებით უზრუნველყოფა დაავალა.

ამის მიუხედავად სამშენებლო ორგანიზაციას დღემდე არ მიუღია საჭირო მასალები. რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დამზადება კი არც ერთ ქარხანას არა აქვს დავალებული. ცხადია, ასეთ პირობებში საეჭვოა სტადიონის მშენებლობა მიმდინარე წელს დამთავრდეს“.

## უმაღლესი ლიგა

# სსრ კავშირის პირველობა

22 აპრილს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი. ყურადღების ცენტრში კიევის დინამოელთა შეხვედრა დონეცკის „შახტიორთან“. ...ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა (...ხინი), მაგრამ შემდეგ მეკარე ...იურკოვსკისა და კონკოვის შეუთანხმებლობის შედეგად ამ უკანასკნელისგან ბურთი საკუთარ კარში აღმოჩნდა — 1:1, 73-ე წუთზე კი როგოვსკის ზუსტმა დარტყმამ გამარჯვება მოუტანა „შახტიორს“.

მოსკოვის სპარტაკელებმა მიიღეს დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ და გაიმარჯვეს შავლოს მიერ გატანილი ერთადერთი ბურთის მეოხებით. ამ მატჩში პენალტი ვერ გამოიყენა სპარტაკელმა გავრილოვმა, გაფრთხილებები მიიღეს მოსკოველმა ხიდიატულინმა, დნეპროპეტროვსკელებმა მასლოვმა და მატვიენკომ.

ჩვეულო ანგარიშით დამთავრდა მატჩი ლენინგრადში ადგილობრივ „ზენიტსა“ და ტაშკენტის „ფახთაქორს“ შორის. გაიმარჯვა „ზენიტმა“ — 5:4. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს კლემენტიევმა, იაკიმცოვმა, კუზნეცოვმა, მელნიკოვმა და დამინმა, ხოლო დამარცხებულთაგან ბაკანოვმა (2), ჩურკინმა და მაკაროვმა. გაფრთხილებული არიან „ფახთაქორის“ მოთამაშეები ამიროვი და ჩურკინი.

ვოროშილოვგრადში ადგილობრივმა „ზარიამ“ დაამარცხა ოდესის „ჩერნომორეცი“ — 2:1. „ზარიას“ მხრივ ბურთები გაიტანეს იგნატენკომ და სოროკალეტმა, ხოლო „ჩერნომორეციდან“ — შევჩენკომ.

23 აპრილს ცსკა-მ მოსკოვში მოუგო ერევნის „არარატს“ — 2:1. პირველი ბურთი მოსკოველთა კაპიტანმა ოლშანსკიმ გაიტანა საკუთარ კარში. თანაფარდობა აღადგინა დულიკმა, ხოლო გადამწყვეტი ბურთის გატანა შეძლო ბელენკოვმა.

## გუშინ...

მოსკოვში, „ტორპედოს“ სტადიონზე, გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. თამაშის 44-ე წუთზე მოსკოველმა ნიკულინმა შეძლო თბილისელთა კარის აღება, ხოლო 77-ე წუთზე რ. შენგელიამ წონასწორობა აღადგინა — 1:1.

# მეორე ლიგა

22 აპრილს გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 1:0

ამ მნიშვნელოვანი მატჩის ბედი გადაწყდა დასაწყისშივე, როცა ჩაჩუნაშვილმა მე-9 წუთზე გვერდი აუარა ბაქოელთა ორ მცველს, დროზე შეამჩნია კარგ პოზიციაში მყოფი ბაზაძე და გადააწოდა მას ბურთი. ამ უკანასკნელმა ზუსტად შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა — 1:0.

სტუმრებმა დაუყოვნებლივ სცადეს მდგომარეობის გამოსწორება და ხანგრძლივ შეტევაზე გადავიდნენ. „ლოკომოტივის“ დაცვას, მეკარე ადეიშვილს მძიმე სამუშაო დააწვათ და მხოლოდ მეორე ტაიმში მოხერხდა მდგომარეობის გამოსწორება. ახლა საქმეში ჩაება უკვე „ავტომობილისტის“ მეკარე ტიშინი. მან 76-ე წუთზე მოიგერია დვალიშვილის მიერ დარტყმული 11-მეტრიანი ბურთი.

დაძაბული ორმხრივი ბრძოლის მიუხედავად ანგარიში მატჩის ბოლომდე არ შეცვლილა.

ა. ხირაძე.

### „დინამო“ (ზუგდიდი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 2:0

ზუგდიდელი გულშემატკივრები ვერ დაემდურებიან თავიანთ გუნდს, რომელმაც გათამაშების დასაწყისი საკუთარ მინდორზე მაღალ დონეზე ჩაატარა. ამ მატჩშიც შეეძლოთ მასპინძლებს პირველი 20 წუთის მანძილზე (თუთბერიძე, კოკტევი, გუნია) ანგარიშის გახსნა, მაგრამ ან ბურთი ცდებოდა მიზანს, ან „პროგრესის“ მეკარე ალახვერდოვი ეუფლებოდა მას.

განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა შესვენების შემდეგ. მასპინძლებმა მოუმატეს ტემპს, მე-60 წუთზე სომხიშვილმა გარღვევაზე გაიყვანა პაჭყებია და მის მიერ თავით დარტყმული ბურთი სტუმრების კარის ბადეში აღმოჩნდა. 10 წუთის შემდეგ გუნიამ ღრმა რეიდი შეასრულა, მეკარის პირისპირ გავიდა და მეორე გოლი გაიტანა. ეს ანგარიში დინამოელებმა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს, თუმცა კიროვაბადელებს ცდა არ დაუკლიათ შეეტანათ მასში ცვლილება.

საუკეთესო მოთამაშეთათვის დაწესებული პრიზები გადაეცათ ზუგდიდელ ხურცილავას და კიროვაბადელ რაგიმოვს.

ზ. ალშიბაია.

### „დინამო“ (ბათუმი) — „გაზოვიკი“ (ორენბურგი) 2:0

„გაზოვიკის“ დაცვას და მეკარე ჩურკინს თამაშის დასაწყისიდანვე მოუხდათ ბათუმელთა ძლიერი შეტევების მოგერიება. მათს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირველი 45 წუთის მანძილზე წარმატებით გაართვეს თავი დიდ დატვირთვას.

ბათუმელთათვის ნაყოფიერი გამოდგა მატჩის მეორე ნახევარი. ჯერ გორგილაძემ თავური დარტყმით გაიტანა ბურთი ბეჟანიძის გადაცემიდან, ხოლო შემდეგ ბეჟანიძემ გამოიყენა მოპირდაპირე დაცვაში დაშვებული შეცდომა და მეორედ აიძულა ჩურკინი გამოეტანა ბურთი ბადიდან. მასპინძლებმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს.

ო. მურვანიძე.

### „დილა“ (გორი) — „ტორპედო“ (ტოლიატი) 0:0

თამაში კარგა ხანს მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით, ბურთი უმთავრესად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა, შემდეგ უპირატესობას დაეუფლნენ გორელები, მაგრამ მათი გადაცემები ხშირად იკარგებოდა, არც კარში დარტყმები გამოირჩეოდა სიზუსტით. ხარვეზები ტექნიკასა და ტაქტიკაში ჩვენს ფეხბურთელებს ჯერ კიდევ საკმარისად აქვთ და მათი გამოსწორებისთვის ზრუნვა გუნდის ხელმძღვანელობის გადაუდებელი საქმეა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ სტუმრებსაც ჰქონდათ წარმატების მიღწევის რეალური შესაძლებლობა. კერძოდ, 64-ე და 74-ე წუთებზე „დილის“ კართან ორი ძალზე სახიფათო მომენტი შეიქმნა და ორივეჯერ თავი გამოიჩინა მეკარე ბერიძემ. 90 წუთმა ისე განვლო, რომ ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო მიზნის მიღწევა.

ი. თევდორაშვილი.

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „გურია“ (ლანჩხუთი) — „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) 4:0, „დინამო“ (სოხუმი) — „გასტელო“ (უფა) 3:1, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „რუბინი“ (ყაზანი) 3:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 0:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „დინამო“ (კიროვი) 1:0, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „ზვეზდა“ (პერმი) 1:0, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 1:1, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) 1:3.

# მსოფლიოს თასი უხმობს რჩეულებს



●

## მესამე ჯგუფი: ბრაზილია, ავსტრია, ესპანეთი, შვეცია

**ესპანელები მსოფლიოს ჩემპიონატებში:**

1934 — ბრაზილიელებთან 3:1, იტალიელებთან 1:1, 0:1,

1950 — აშშ-სთან 3:1, ჩილესთან 2:0, ინგლისთან 1:0, ურუგვაისთან 2:2, ბრაზილიასთან 1:6, შვეციასთან 1:3.

1962 — ჩეხოსლოვაკიასთან 0:1, ბრაზილიასთან 1:2, მექსიკასთან 1:0.

1966 — არგენტინასთან 1:2, შვეიცარიასთან 2:1, გფრ-თან 1:2.

ესპანელებს ფეხბურთის სამყაროში დიდი ავტორიტეტი აქვთ, მაგრამ იგი ემყარება არა იმდენად ნაკრების წარმატებებს (პირდაპირ რომ ვთქვათ, არც თუ ისე მნიშვნელოვანს), რამდენადაც საკლუბო გუნდებისას. პირველ რიგში აქ, ცხადია, მადრიდის „რეალი“, „ატლეტიკო“ და „ბარსელონა“ უნდა დავასახელოთ.

დიდხანს ნაკრების მოხვედრა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ძალიან სათუო იყო, მაგრამ მწვრთნელმა კუბალამ მაინც შეასრულა დანაპირები და ბელგრადში საკმაოდ მოულოდნელი გამარჯვების შემდეგ (1:0) არგენტინის საგზური მოიპოვა. ცხადია, თვით მწვრთნელის ყოფნა-არყოფნის საკითხიც მთლიანად ამ მატჩზე იყო დამოკიდებული. 51 წლის კუბალა მეტად კოლორიტული ფიგურაა ფეხბურთის სამყაროში. დაიბადა ბუდაპეშტში, ეროვნებით სლოვაკია, 1946-47 წლებში 7 მატჩი ითამაშა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში, 1948 წელს — 3 მატჩი უნგრეთის ნაკრებში. 1953-61 წლებში გამოდიოდა ესპანეთის ნაკრებში (19 მატჩი), ითვლებოდა დი სტეფანოს მეტოქედ. მას სხვადასხვა დროს უთამაშია უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, ესპანეთის, შვეიცარიის გუნდებში. 1969 წელს კარიერა დაამთავრა კანადის „ტორონტო ფალკონსში“ და ამავე წელს ესპანეთის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. საინტერესოა, რომ ამ დროიდან დღემდე ესპანეთის ნაკრებმა 42 მატჩი ჩაატარა: 22 მოიგო, 14 ფრედ დაამთავრა და 6 წააგო — გფრ-ის (ორჯერ), საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის, ჰოლანდიისა და რუმინეთის ნაკრებებთან. ეს, ცხადია, ჩინებული ბალანსია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კუბალას ორჯერ აშკარად მოუთმინეს — მისი გუნდი ვერც მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში მოხვდა და ვერც გფრ-საში. რა თქმა უნდა, ახლა მის შესახებ ესპანეთში მხოლოდ კარგს ამბობენ, ყოველ შემთხვევაში, არგენტინის ფორუმამდე მაინც.

უნდა აღინიშნოს, რომ ესპანეთის ნაკრები სხვებთან შედარებით ნაკლებს თამაშობს — შარშან სულ 6 მატჩი ჩაატარა. აი მათი შედეგები:

ესპანელებმა დუბლინში დაამარცხეს ირლანდიელები — 1:0. გოლი გაიტანა სატრუსტეგიმ. ალიკანტეში ფრედ — 1:1 ითამაშეს უნგრელებთან (ბურთი გაიტანა ხუანიტომ), ბუქარესტში წააგეს 0:1 რუმინელებთან, ბერნში ანგარიშით 2:1 მოუგეს შვეიცარიელებს (გოლები გაიტანეს კანომ და უფარტემ), მადრიდში დაამარცხეს რუმინელები 2:0 (გოლების ავტორები—ლეალი და ასენსი), ბელგრადში — იუგოსლავიელები 1:0 (ბურთი გაიტანა კანომ). წელს მადრიდში ესპანელებმა შეძლეს იტალიელების დამარცხება — 2:1 (ბურთები გაიტანეს პირიმ და დანიმ).

იანვარში, როგორც კი გამოცხადდა წილისყრის შედეგები, კუბალამ თქვა: „ჩვენ ცუდ ჯგუფში როდი მოვხვდით. რა თქმა უნდა, მე ირანელებთან ან ტუნისელებთან უფრო მერჩივნა შეხვედრა, ვიდრე ავსტრიელებთან. ამის მიუხედავად ვთვლი, რომ ჩვენი შანსები მოვხვდეთ 8 უძლიერეს გუნდს შორის, სავსებით რეალურია“.

საინტერესოა, რომ ტრადიციის თანახმად, ესპანელები ახლაც ძალზე ცოტა მატჩებს ატარებენ, წლეულს სულ ერთხელ ითამაშეს (იტალიელებთან). 26 აპრილისთვის მადრიდში დანიშნულია მატჩი მექსიკელებთან, „გენერალური რეპეტიცია“ კი ესპანელებს 24 მაისს ექნებათ მონტევიდეოში ურუგვაელებთან. ნაკრების მოთამაშეები ძირითადად წვრთნას საკლუბო გუნდებში გადიან. კუბალა სისტემატურად ესწრება ესპანეთის ჩემპიონატის თამაშებს და მჭიდრო კონტაქტიც აქვს კლუბების მწვრთნელებთან.

კუბალამ კარგა ხანია შეარჩია ნაკრების ბირთვი. რა თქმა უნდა, საბრძოლო შემადგენლობის დადგენის

### ვარსკვლავების გარეშე, მაგრამ...

პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ მწვრთნელმა ძირითადად იცის, რომელ მოთამაშეებს უნდა დაეყრდნოს.

მრავალი წლის მანძილზე ნაკრებში შეუცვლელ მეკარედ ითვლებოდა ბასკი ირიბარი. იგი კვლავ თამაშობს ბილბაოს „ატლეტიკოში“, მაგრამ, ეტყობა, დაასრულებს თავის ხანგრძლივ კარიერას. ირიბარი შეცვალა მადრიდის „რეალის“ მეკარემ მიგელ ანხელ გონსალეს სუარესმა, მაგრამ პრესა მეკარეს მარტო სახელით იხსენიებს, ასევე შეაქვთ მსაჯებს მატჩების ოქმებშიც! მიგელ ანხელი 31 წლისაა. ნაკრებში 8 მატჩი ითამაშა. მეორე მეკარედ ითვლება არკონადა (ლუის არკონადა ეჩარი, სან-სებასტიანის „რეალსოსიედადი“), იგი 24 წლისაა, ნაკრებში ოთხჯერ გამოვიდა.

მარჯვენა მცველი მარსელინო თამაშობს მადრიდის „ატლეტიკოში“ განთქმულ ბრაზილიელ ლუის პერეირას მხარდამხარ. იგი 23 წლისაა, ნაკრებში სამჯერ გამოვიდა.

ნაკრებში ძალიან დიდ როლს თამაშობს მისი კაპიტანი, 33 წლის პირი (ხოსე მარტინეს სანჩესი). იგი მადრიდის „რეალისა“ და ნაკრების ვეტერანია (37 მატჩი), ადრე ნახევარმცველი იყო, ახლა „ლიბეროს“ ფუნქციებს ასრულებს. პირის „მეორე ბეკენბაუერს“ უწოდებენ. ეს არის დიდი დიაპაზონის, კონსტრუქციული მოთამაშე, გუნდის სული და გული. თუ კი იგი რაიმე მიზეზის გამო არ თამაშობს, ესპანელთა ნაკრების მოქმედება აშკარად უსისტემო ხდება. მეორე ცენტრალური მცველი მიგუელი 27 წლისაა, თამაშობს „ბარსელონაში“, ნაკრებში 11 მატჩი ითამაშა. უკანასკნელ ხანებში კუბალა ცდის კიდევ ერთ ცენტრალურ მცველ ოლმოს („ბარსელონა“). იგი 24 წლისაა, ნაკრებში 3 მატჩი ითამაშა.

ძირითად მარცხენა მცველად ითვლება 23 წლის კამაჩო. სამი წლის წინ მადრიდის „რეალის“ ამ სწრაფ, ენერგიულ მცველს დებიუტი ჰქონდა ნაკრებში, სადაც დიდი ყურადღება მიიქცია. კამაჩო, თავისი ძირითადი ფუნქციების შესრულებასთან ერთად, სახიფათოდ უტევდა მეტოქის კარს. მან ნაკრებში სულ 12-ჯერ ითამაშა, მაგრამ შემდეგ მუხლის რთული ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. პროფესორმა ლოპესმა მას სამი თვის მკურნალობა დაუდგინა, მაგრამ დრო გავიდა და კამაჩოც იწყებს მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებას. ამ პოსტზე პრეტენზიას აცხადებენ აგრეთვე ბენიტო და კაპონი.

ესპანეთის ნაკრები 4 ნახევარმცველით თამაშობს. ამ ხაზზე ყველაზე გამოცდილია 29 წლის ასენსი. თამაშობს „ბარსელონაში“, ნაკრებში 23-ჯერ გამოვიდა. ყველა დანარჩენ ნახევარმცველს ნაკრებში ცოტა შეხვედრა აქვს ჩატარებული. 23 წლის სან-ხოსე (მადრიდის „რეალი“), 25 წლის ლეალი (მადრიდის „ატლეტიკო“), კარდენოსა, ალაბანდა, ლოპესი (სამივე—სევილიის „რეალ ბეტისი“). ვილარი, ირურეტა, ჩურუკა (სამივე — „ბილბაოს „ატლეტიკი“). ერთი სიტყვით, კუბალა სისტემატურად ცვლის შუა ხაზს, ეძებს, მაგრამ, ეტყობა, ჯერჯერობით ვერ პოულობს ოპტიმალურ ვარიანტს.

შესარჩევი თუ ამხანაგური მატჩების უმეტესობას ესპანელები ორი „წმინდა“ ფორვარდით წარმართავენ. მარჯვენა გარემარბი ხუანიტო (ხუან გომეს გონსალესი) ბოლო სეზონის აღმოჩენა გახლავთ. მან მტკიცედ დაიკავა მადრიდის „რეალში“ სახელოვანი ამანსიოს ადგილი და მყისვე მიიწვიეს ნაკრებში. ხუანიტო 24 წლისაა, ტექნიკური და მოძრავი, ნაკრებში 5 მატჩი ითამაშა. იგი კარგად შეეწყო ცენტრალურ თავდამსხმელ კანოს (მადრიდის „ატლეტიკო“). კანო 27 წლისაა, ნაკრებში ხუთჯერ ითამაშა. ამბობენ, რომ კანოსათვის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა სხვა ესპანელებზე უფრო იოლი იქნება — იგი არგენტინაში დაიბადა და გაიზარდა. კანოს ბევრი ბურთი გააქვს. ნაკრების კანდიდატად ითვლება კიდევ ოთხი თავდამსხმელი. სანტილიანა (კარლოს ალონსო გონსალესი) 26 წლისაა, წარმატებით თამაშობს როგორც მადრიდის „რეალის“ ცენტრფორვარდი, ნაკრებში 7 მატჩი აქვს ჩატარებული. ადრე ამ გუნდის მთავარ დამკვრელ ძალად ითვლებოდა, მაგრამ ახლა კუბალა კანოს ანიჭებს უპირატესობას. დანი (დანიელ რუის ბაზან ხუსტანი, ბილბაოს „ატლეტიკი“), 27 წლისაა, ნაკრებში 4 მატჩი ითამაშა. 30 წლის მარანონი (რაფაელ პერეს გონსალესი) ბარსელონას „ესპანიოლში“ თამაშობს, ნაკრებში სულ ერთხელ გამოვიდა. როხო (ხოსე ფრანცისკო აროლტა) ბილბაოს „ატლეტიკის“ მოთამაშეა, 31 წლისაა, ნაკრებში 7-ჯერ ითამაშა.

მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ დღეისათვის ესპანეთის ნაკრებს, რომელიც ადრე განთქმული იყო ვარსკვლავებით (დი სტეფანო, სუარესი, ჰენტო, ამანსიო), ასეთი მასშტაბის ფეხბურთელები უკვე აღარა ჰყავს. მაგრამ ამასთან აღნიშნავენ, რომ იგი თანაბარი, მტკიცე, ბრძოლისუნარიანი კოლექტივია, რომელიც უხმაუროდ და მეტად სერიოზულად ემზადება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. ცხადია, ესპანელები 8 უძლიერესი გუნდის რიცხვში მოხვედრას აპირებენ. ბრაზილია ბრაზილიაა, მაგრამ ავსტრიელებსა და შვედებთან ესპანელებს დიდი ბრძოლა ექნებათ.

გ. თორელი.

## ფეხბურთი.

# ბრაზილიელებმა დაამთავრეს ტურნე

ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა დაამთავრეს ტურნე ევროპაში. ბოლო მატჩი მათ ჰქონდათ მადრიდში, „ატლეტიკოსთან“, რომელიც სტუმრებმა მოიგეს ანგარიშით 3:0 (ბურთები გაიტანეს ნუნიესმა, ედინიომ და მენდოზამ).

— საფრანგეთის ნაკრებთან განცდილი მარცხის მიუხედავად, — განაცხადა ბრაზილიელთა მწვრთნელმა კუტინიომ, — მიმაჩნია, რომ მზადების ეს ეტაპი წარმატებით განვვლეთ. პრაქტიკულად ვთამაშობდით მსოფლიო ჩემპიონატის რეგლამენტით და ჩვენი გუნდი ბოლო შეხვედრაში გამოიყურებოდა უკეთესად, ვიდრე პირველში. განვლილ ტურნეში ჩვენს ყველაზე ძლიერ მეტოქედ მიგვაჩნია ინგლისის ნაკრები.

„ატლეტიკოსთან“ მატჩში კუტინიო ყურადღებით ადევნებდა თვალს მცველ პერეირას, რომელიც... ბრაზილიელთა წინააღმდეგ გამოდიოდა.

— პერეირა ჩავრთე არგენტინაში გამგზავრების 40 კანდიდატის სიაში, — აღნიშნა კუტინიომ. — მას შეუძლია ბრაზილიის ნაკრებში თამაში, თუ კი საამისო ნებართვას დართავს მადრიდის კლუბის ხელმძღვანელობა.

## სროლა

### პირველი პრიზი — თამაზ იმნაიშვილს

მოსკოვში დამთავრდა მესტენდურეთა საერთაშორისო შეჯიბრება „მოსკოვის დიდ პრიზზე“. ასპარეზობაში მსოფლიოს თითქმის ყველა საუკეთესო ოსტატი მონაწილეობდა. შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა თბილისელი სპორტსმენი თ. იმნაიშვილი („ლოკომოტივი“), რომელმაც მრგვალ სტენდზე 200-დან 197 ქულა მოაგროვა და პირველი პრიზი მოიგო.

## ველოსპორტი

### გივი დვალიშვილის მესამე ადგილი

ერევანში, „სპარტაკის“ ველოტრეკზე გაიმართა სსრ კავშირის უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრება. სპრინტში წარმატებას მიაღწია თბილისის დინამოელმა გ. დვალიშვილმა, რომელმაც 46 მონაწილეს შორის მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. მას აჯობეს მხოლოდ ა. იაბლუნოვსკიმ (მოლდავეთი) და ნ. ჟურავლიოვმა (რსფსრ).




„ზერთული ელემენტი“.

ა. საავოვის ფოტოეტიუდი.

## ჭადრაკი

### ფინიში დორტმუნდში

დორტმუნდი, 24 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომლის 12 მონაწილეს შორის იყო ქალთა მსოფლიო ჩემპიონი, დიდოსტატი ნ. გაფრინდაშვილიც.

დასკვნით, XI ტურში ჩემპიონმა ქალმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ინგლისელ დიდოსტატ რ. კინთან, რომელიც თავიდანვე სვლების გამეორებით ბრძოლას თავს არიდებდა, და მასთან II-III ადგილები გაიყო. თითოეულმა 7,5 ქულა მოაგროვა.

ნონას ნახევარი ქულა დააკლდა ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივის მეორედ შესასრულებლად.

I ადგილი დაიკავა შვედმა დიდოსტატმა უ. ანდერსონმა — 8 ქულა. ბოლო დღეს იგი დაუზავდა ვირტჰენზონს (შვეიცარია).

საბჭოთა დიდოსტატმა ა. გიპსლისმა 7 ქულით IV-VI ადგილები გაიყო დიდოსტატ ი. ფარაგოსა (უნგრეთი) და საერთაშორისო ოსტატ ს. ტატაისთან (იტალია).

### ლვოვში, ზონალურზე...

ლვოვში, მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა XII ტური და შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

XII ტურში გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) დაუზავდა ვ. ცეშკოვსკის (ომსკი), ი. ბალაშოვი — ვ. სმისლოვს (ორივე — მოსკოვი) ა. კოჩიევი (ლენინგრადი) — ი. დორფმანს (ლვოვი) და რ. ვაჰანიანი (ერევანი) — ე. გელერს (მოსკოვის ოლქი). სამი პარტია გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ბალაშოვმა მოუგო გელერს, ვაჰანიანმა — ა. ბელიავსკის (ლვოვი).

12 ტურის შემდეგ ი. ბალაშოვს 7,5 ქულა აქვს, რ. ვაჰანიანს — 7, გ. კუზმინს — 6,5.

### უშეღავათო ბრძოლაში

საქართველოს ვაჟთა 39-ე ჩემპიონატის XII ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — საქართველოს ჩემპიონი ზ. სტურუა და გ. ზაიჩიკი. მოლოდინი გამართლდა: მეტოქეებმა დებიუტშივე უშეღავათო ბრძოლა გააჩაღეს და მოსაფიქრებელი დროის დიდი ნაწილიც დახარჯეს. სასტიკ ცაიტნოტში სტურუა უკეთესად თამაშობდა და ზაიჩიკი ამ ტურნირში პირველად დამარცხდა.

კვლავ მოიგო დ. გედევანიშვილმა, ამჯერად დ. ჩაჩიბაიასთან, რ. კაპანაძემ სძლია მ. არჩვაძეს (სამტრედია), რ. ლომიძემ (გარდაბანი) — რ. დადიანს (სოხუმი), გ. მაჭარაშვილმა — გ. ციხელაშვილს, ი. კუზმინმა — ნ. ტერაშვილს (რუსთავი). ყაიმზე შეთანხმდნენ ე. უბილავა — ნ. იოსელიანი, ი. ჩიქოვანი — ა. შახტახტინსკი (სოხუმი), ლ. ნეურონოვი (ბათუმი) — ი. ცქიტიშვილი.

ფინიშის წინ, 12 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ზ. სტურუა — 11,5 ქულა, დ. გედევანიშვილი — 10,5, გ. ზაიჩიკი — 10. შემდეგ მოდიან ე. უბილავა, ი. ჩიქოვანი — 8-8, ნ. იოსელიანი, ნ. კაპანაძე — 7,5-7,5.

რ. თავარიანი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

### კიდევ ორი ტური

სოჭი, 24 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა მოჭადრაკეთა შესარჩევ ტურნირში გაიმართა XI და XII ტურების შეხვედრები.

თბილისელმა ზ. აზმაიფარაშვილმა XI ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ევროპის პირველობის მეორე პრიზიორ ს. დოლმატოვთან (მოსკოვი), XII ტურში კი ლ. ვოლიანთან (ერევანი) პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

აი, სხვა შედეგები: ბ. ტაბოროვი — ა. ხარიტონოვი (ივანოვო) 0,5:0,5, დოლმატოვი — ლ. ფსახისი (კრასნოიარსკი) 1:0, ხარიტონოვი — ზ. ლანკა (რიგა) 1:0, ლ. იურტაევი (ფრუნზე) — ტაბოროვი 0,5:0,5. ორი პარტია გადაიდო.

12 ტურის შემდეგ ლიდერობს ს. დოლმატოვი — 8,5 ქულა. ბ. ტაბოროვს 7 ქულა აქვს, ა. ხარიტონოვს, ლ. იურტაევს — 6,5-6,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, ზ. აზმაიფარაშვილს — 5 (1).

ა. ბუსლაევი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

### თამაშობენ ნინო და მაია

ბიდგოშჩი. პოლონეთის ამ ქალაქში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო ტურნირის X ტურში ნინო გურიელმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მ. ვიზესთან (პოლონეთი). მანამდე, IX ტურში გურიელმა დაამარცხა ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვა (იუგოსლავია), ხოლო მერვეში — ქ. იაგოძინსკა (პოლონეთი). ნინომ მოაგროვა 8,5 ქულა და ლიდერობს შეჯიბრებას.

ბუდაპეშტი. უნგრეთის დედაქალაქში მიმდინარე ტურნირში კი, სადაც გათამაშდა რვა ტური, ჯერჯერობით წინაა ჟ. ვერეცი (უნგრეთი). მას 6,5 ქულა აქვს. ლიდერს მაია ჩიბურდანიძე მხოლოდ 0,5 ქულით და მეორე ადგილზეა. გამოტოვებული და გადადებული პარტიების დამთავრებისას ჩიბურდანიძემ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა რ. კაშთან (უნგრეთი) და მოუგო ვ. შიკოვას (ბულგარეთი). მანამდე კი, VIII ტურში მან დაამარცხა ლ. ტომპა (უნგრეთი). ასპარეზობის დამთავრებამდე 5 ტურია დარჩენილი.

## რეგბი

კვირას ფერგანაში გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები. სენსაციის ავტორი გახდა დებიუტანტი — კიევის „პოლიტეხნიკი“, რომელმაც იოლად დაამარცხა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი და შარშანდელი პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი, მოსკოვის სპორტკლუბი „ფილი“ — 27:6.

თბილისის გუნდების — „ელვასა“ და „ლოკომოტივის“ მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 7:7.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ავტომობილისტი“ (მოსკოვი) — 9:0, „ავიატორი“ (კიევი) — „პრიმორეცი“ (ლენინგრადი) — 25:0, „სლავა“ (მოსკოვი) — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია — 18:9.

დღეს მესამე ტურია.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სლავა“ | 2 | 2 | 0 | 0 | 52—12 | 4 |
| „ავიატორი“ | 2 | 2 | 0 | 0 | 41—3 | 4 |
| „ლოკომ“. თბ. | 2 | 1 | 1 | 0 | 19—16 | 3 |
| „ლოკომოტ“. მ. | 2 | 1 | 0 | 1 | 18—12 | 2 |
| „ფილი“ | 2 | 1 | 0 | 1 | 37—33 | 2 |
| სსა | 2 | 1 | 0 | 1 | 30—33 | 2 |
| „პოლიტეხ“. | 2 | 1 | 0 | 1 | 30—40 | 2 |
| „ელვა“ | 2 | 0 | 1 | 1 | 10—23 | 1 |
| „ავტომობ“. | 2 | 0 | 0 | 2 | 15—30 | 0 |
| „პრიმორ“. | 2 | 0 | 0 | 2 | 6—56 | 0 |

●

### ფინალში — „სპარტაკი“ და სპი

კვირას ჩოხატაურში გაიმართა რეგბიში საქართველოს თასის ნახევარფინალური შეხვედრები. პირველ მატჩში თამაშობდნენ ქუთაისის „სპარტაკი“ და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივები. მომავალი ინჟინრები აქტიურად იბრძოდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 12:0.

მეორე ნახევარფინალური შეხვედრა უფრო დაძაბული გამოდგა. აქ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თბილისის „სპარტაკი“ და ადგილობრივი „ლელო“. გამარჯვება უფრო გამოცდილ სპარტაკელებს ხვდათ წილად — 11:6.

ამრიგად, ფინალში, რომელიც 30 აპრილს გაიმართება თბილისში, ითამაშებენ დედაქალაქის გუნდები „სპარტაკი“ და სპი.

ზაპოროჟიეში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ტური, რომელმაც უნდა გამოავლინოს 6 უძლიერესი კოლექტივი.

აღმავლობით დაიწყეს თამაში თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელებმა, რომლებმაც ჯერ ადგილობრივი „ალუმინსტროი“ დაამარცხეს — 22:18, ხოლო შემდეგ კიეველი არმიელები.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — ასკ (ბაქო) 41:24,

## ხელბურთი

საავიაციო ინსტიტუტი — „ალუმინსტროი“ 29:24, ასკ (ბაქო) — „ცელტნიექსი“ (რიგა) 27:21, ცსკა — „ცელტნიექსი“ 31:25, ცსკა — ასკ (მინსკი) 33:26, ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — ასკ (ლვოვი) 28:23, ინდუსტრიული ინსტიტუტი — „გრანიტასი“ (კაუნასი) 29:23, ასკ (ლვოვი) — „კუნცევო“ (მოსკოვი) 19:27, „კუნცევო“ — ასკ (მინსკი) 21:25, ასკ (კიევი) — „გრანიტასი“ 27:20.

დუშანბეში გრძელდება სსრ კავშირის უძლიერეს მშვილდოსანთა შეჯიბრება. ქალთა ასპარეზობაში სსრ კავშირის ორი რეკორდი გაუმჯობესდა. 70 მეტრიდან მშვილდოსნობაში ტაშკენტელმა ნ. ბუტუზოვამ 319 ქულა მოაგროვა,

## მშვილდოსნობა

ხოლო 50 მეტრიდან სროლაში უძლიერესმა ვ. კოვპანმა (ლვოვი) — 320 ქულა.

## ძალოსნობა

კიევში გრძელდება ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატი.

60 კგ წონითს კატეგორიაში ჩემპიონობა შეინარჩუნა მონრეალის ოლიმპიადის გამარჯვებულმა ბუგულმელმა ნ. კოლესნიკოვმა — 280 კგ. II ადგილზე გავიდა ნოვოსიბირსკელი ვ. გოლოვკო — 272,5 კგ, ხოლო ბრინჯაო წილად ხვდა რიბინსკელ ვ. ბაბოშინს — 270 კგ.

67,5 კგ წონითს კატეგორიაში მსოფლიო რეკორდი დამყარდა. მისი ავტორია როსტოველი ს. პევზნერი, რომელმაც 178,5 კგ აჰკრა. ორჭიდის ჯამში მან 307,5 კგ დააგროვა, მაგრამ მხოლოდ ვერცხლი ერგო (მინსკელ ვ. ვერგუნზე მძიმე აღმოჩნდა). III ადგილზე გავიდა პერმელი რ. მუხამეტოვი — 305 კგ.

75 კგ წონითს კატეგორიაში პირველად მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი ნოვოკუიბიშევსკელმა ა. ლოგუტოვმა — 332,5 კგ. ვერცხლის მედალი ერგო ევროპის ექს-ჩემპიონს, ლენინგრადელ ვ. სმირნოვს — 330 კგ, ბრინჯაო — კიეველ ვ. უტოპლოვს — 325 კგ. ამ წონით კატეგორიაში არ გამოდიოდა სსრ კავშირის თასის მფლობელი ვ. მილიტოსიანი (ლენინაკანი).

82,5 კგ წონითს კატეგორიაში ერთი წლის შესვენების შემდეგ ფიცარნაგზე გამოვიდა ოლიმპიური ჩემპიონი, მინსკელი ვ. შარი და ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი — 362,5 კგ. ვერცხლის მედალი ერგო დნეპროპეტროვსკელ ვ. ავქიანს—350 კგ. ასეთივე შედეგით ბრინჯაო დაისაკუთრა ხაბაროვსკელმა ვ. ლისენკომ. ამ წონაში დაშავების გამო ვერ იასპარეზა ცნობილმა ძალოსანმა, მსოფლიო რეკორდსმენმა ი. ვარდანიანმა.

## ფარიკაობა

ბუდაპეშტში დამთავრდა ხმლით შეჯიბრებაში ევროპის თასის გათამაშება. ცსკა-ს გუნდმა გადამწყვეტ მატჩში მოუგო უნგრეთის „ვაშაშს“ — 9:7 და მერვედ მოიპოვა ძვირფასი ჯილდო. არმიელთა შემადგენლობაში იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონები ვ. კროვოპუსკოვი, ვ. ნაზლიმოვი, ვ. სიდიაკი და მ. ბურცევი.

## „მაზურეკმა“ ლუზა ჩაუშვა

ლას-პალმასში გულთბილად შეხვდნენ პოლონელ იახტსმენს, კაპიტან კრისტინა ხოინოვსკა-ლისკევიჩს, პირველ ქალს, რომელმაც აფრიანი ნავით ეულად იცურა დედამიწის ირგვლივ. „მაზურეკი“ ბრწყინვალე იახტაა. ეს იყო ძალიან მომქანცველი მოგზაურობა. მოხარული ვარ, რომ ჩემი წვლილი შევიტანე პოლონეთის საფროსნო სპორტის განვითარების საქმეში“, — თქვა კრისტინამ მიწაზე ფეხის დადგმისთანავე.

„ყველა, ვისაც გვიყვარს ზღვა და გვესმის ამ წარმატების მნიშვნელობა, ვულოცავთ პოლონელ ზღვაოსან ქალს და პოლონელ ხალხს ამ წარმატებას, — ხაზგასმით აღნიშნა ლას-პალმასის მერმა გაბრიელ მეხიასმა. — ჩვენ ვამაყობთ, რომ ლას-პალმასში დაიწყო და აქვე დამთავრდა ეს მოგზაურობა“.

კრისტინა დაიბადა ვარშავაში 1936 წელს. მან 10-ზე მეტი შორეული საზღვაო ლაშქრობა განახორციელა. პროფესიით იგი გემთმშენებელი ინჟინერია. მან სტარტი აიღო 1976 წლის 23 მარტს. ცურვის დროს სურსათისა და წყლის მოსამარაგებლად შევიდა ბარბადოსის ბრიჯთაუნში, კრისტობალში — პანამის არხის შესასვლელთან, ტაიოხაე ბეიში — მარკიზის კუნძულებზე და სხვა პორტებში.

„მაზურეკი“ ააგეს გდანსკის კონრად კორზენევსკის სახელობის ვერფში. (საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.


ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი
(აკ. წერეთლის პრ. № 2)

28 აპრილი

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

„დინამო“ (თბილისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)

დასაწყისი 19 ს.

ბილეთები გაიყიდება: ორგანიზაციებზე — 26 და 27 აპრილს დილის 10 საათიდან; საერთო გაყიდვა — 28 აპრილს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში (№ 7-დან 16-ის ჩათვლით).



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02059